სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“

გარემოს დაცვის პოლიტიკა

1. შესავალი დებულებები

მიზანი

სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“ გარემოს დაცვის პოლიტიკა განსაზღვრავს ჰოლდინგის ხედვას, ძირითად პრინციპებს, განზრახვებსა და პასუხისმგებლობებს თავისი გარემოსდაცვითი საქმიანობის მიმართულებით.
ჰოლდინგის გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზანია:

- შექმნას საფუძველი ჰოლდინგის გარემოსდაცვითი მიზნების განსაზღვრისთვის;
- გამოხატოს, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ჰოლდინგში გარემოს დაცვას, გარემოსდაცვითი ასპექტების ეფექტურ მართვას;
- განსაზღვროს ჰოლდინგის გარემოს დაცვის მართვის სისტემის საფუძვლად არსებული ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები;
- ნათლად წარმოაჩინოს ჰოლდინგის სწრაფვა თავისი გარემოს დაცვის მართვის სისტემის და მისი ცალკეული პროცედურების მუდმივი გაუმჯობესებისა და განვითარების მიმართულებით;
- მკაფიოდ მოახდინოს იმის დეკლარირება, რომ ჰოლდინგი ყოველთვის ორიენტირებულია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით დაინტერესებული მხარეების, საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

დოკუმენტებთან კავშირი

წინამდებარე პოლიტიკა შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტთან ISO 14001:2015, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და ENERGO-PRO ჯგუფის გარემოს დაცვის, სოციალური საკითხების და მართვის პოლიტიკასთან.

მოქმედების სფეროს განსაზღვრა

მოცემული გარემოს დაცვის პოლიტიკა ვრცელდება ჰოლდინგის ყველა სტრუქტურულ ერთეულზე და ეხება მისი საქმიანობის ყველა მიმართულებას.

2. ძირითადი ტერმინების განმარტება და შემოკლებები

- ჰოლდინგი / კომპანია / ორგანიზაცია - სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი“;
- გარემო - გარემო, რომელშიც ოპერირებს ჰოლდინგი, მათ შორის ჰაერი, წყალი, ნიადაგი, ფლორა, ფაუნა, ადამიანები და მათი ურთიერთკავშირი;

- მართვის სისტემა - ორგანიზაციის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი ელემენტების ერთობლიობა, პოლიტიკის, მიზნების და ამ მიზნების მიღწევისთვის საჭირო პროცესების ჩამოყალიბებისთვის;
- გარემოს დაცვის მართვის სისტემა - ჰოლდინგის მართვის სისტემის ნაწილი, რომელიც გამოიყენება მისი გარემოსდაცვითი ასპექტების, რისკებისა და შესაძლებლობების სამართავად და არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- გარემოს დაცვის პოლიტიკა - ჰოლდინგის ხელმძღვანელობის ოფიციალური განცხადება, რომელშიც ასახულია კომპანიის ძირითადი განზრახვები და მიმართულებები მის გარემოსდაცვით საქმიანობასთან დაკავშირებით;
- გარემოსდაცვითი ასპექტი - ჰოლდინგის საქმიანობის და/ან მომსახურების ელემენტი, რომელიც მოქმედებს ან რომელმაც შეიძლება იმოქმედოს გარემოზე;
- ზემოქმედება გარემოზე - ნებისმიერი ცვლილება გარემოში, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოადგენს ჰოლდინგის გარემოსდაცვითი ასპექტების შედეგს;
- გარემოსდაცვითი მიზანი - ჰოლდინგის მიერ დასახული გარემოსდაცვითი ხასიათის მიზანი, რომელიც შესაბამისობაშია მის გარემოსდაცვით პოლიტიკასთან;
- დაინტერესებული მხარე - პირი, ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ჰოლდინგის გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე, ან რომელზეც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ჰოლდინგის გადაწყვეტილებებმა და ქმედებებმა; რომელიც დაინტერესებულია ჰოლდინგის გარემოს დაცვის სისტემის მუშაობის ეფექტურობაში;
- პროცესი - გარკვეული ურთიერთდაკავშირებული ქმედებების ჯაჭვი, რომელიც უზრუნველყოფს პირველადი მონაცემების საბოლოო შედეგად გარდაქმნას;
- პროცედურა - გარკვეული მოქმედებების ან პროცესის განხორციელების კონკრეტულად, წინასწარ განსაზღვრული გზა. პროცედურა შეიძლება იყოს ან არ იყოს დოკუმენტირებული;
- საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნები - საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებიც კომპანიამ უნდა დააკმაყოფილოს და სხვა მოთხოვნები, რომლებიც კომპანია ვალდებულია დააკმაყოფილოს ან რომელთა დაკმაყოფილებასაც თავად ირჩევს;
- რისკი - განუსაზღვრელობის, გაურკვევლობის ეფექტი.

3. გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითადი ნაწილი

სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი“ სრულად აცნობიერებს იმ ზეგავლენას, რასაც თავისი საქმიანობით ახდენს გარემოზე. შესაბამისად, ჰოლდინგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარემოს დაცვის მართვის გამართული, ეფექტური სისტემის დანერგვას, შენარჩუნებას და

მუდმივ გაუმჯობესებას, რათა წარმატებით მართოს თავის პროცესებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ასპექტები და იზრუნოს გარემოზე.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“ გარემოს დაცვის მართვის სისტემა მთლიანობაში და მისი ცალკეული კომპონენტები დაფუძნებულია ქვემოთ ჩამოთვლილ პრინციპებზე, რომელთა დაცვაც მნიშვნელოვანია ჰოლდინგისთვის:

- მუდმივი ზრუნვა იმაზე, რომ შემცირდეს ჰოლდინგის მიერ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება;
- გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ ნორმებთან სრული შესაბამისობის მუდმივი უზრუნველყოფა;
- თავის ოპერაციებში, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით, ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნებისა და მოლოდინების გათვალისწინება;
- თავის პროცესებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ასპექტების, გარემოზე მათი ზემოქმედების და არსებული კონტროლის ზომების პერიოდული შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, გავლენის შემცირების ან სრულად აღმოფხვრის მიზნით, დამატებითი კონტროლის ზომების დაგეგმვა და გატარება;
- გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინება ჰოლდინგის სტრატეგიულ დაგეგმარებაში, გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და ყველა ოპერაციაში;
- ზრუნვა გარემოს დაცვის საკითხებთან მიმართებაში ჰოლდინგის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებაზე და მათი წახალისება, პასუხისმგებლობით მოეკიდონ გარემოს დაცვას თავიანთი სამუშაოს ფარგლებში; პერსონალის სწავლება და ინფორმირება, თუ რა გავლენა აქვს მათ საქმიანობას გარემოზე; შესაბამისი გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ნორმებისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ეფექტური გარემოსდაცვითი საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, მუდმივი ეკოლოგიური თვითმონიტორინგის განხორციელება, პრობლემების, შეუსაბამობების მიზეზების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება;
- ბუნებრივი რესურსების დაზოგვა და მათი რაციონალურად გამოყენება;
- ნარჩენების მინიმიზაცია თანამედროვე, ეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა პრაქტიკების გამოყენებით;
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების შესყიდვა და გამოყენება ყოველთვის, როდესაც და სადაც ეს შესაძლებელია;
- ჰოლდინგის მომწოდებლებისა და კონტრაქტორებისგან გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინების და შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა გარემოსდაცვითი ვალდებულებების დაცვის მოთხოვნა.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი“ დარწმუნებულია, რომ მისი გარემოსდაცვითი საქმიანობის ეფექტურობას, გარემოსდაცვითი ასპექტების წარმატებულ მართვას და გარემოზე ზრუნვას, მნიშვნელოვნად განაპირობებს გამართული და ეფექტური გარემოს დაცვის მართვის სისტემა. შესაბამისად, ჰოლდინგი ყოველთვის ზრუნავს სისტემის დახვეწასა და მუდმივ გაუმჯობესებაზე, იყენებს ISO 14001:2015 სტანდარტს და მის მოთხოვნებს, როგორც საფუძველს, ჩარჩოს საკუთარი გარემოსდაცვითი საქმიანობის, პროცესების, სისტემის შეფასებისა და შემდგომი განვითარებისთვის.

4. დასკვნითი დებულება

ჰოლდინგი უზრუნველყოფს გარემოს დაცვის პოლიტიკის ყველა დაინტერესებული მხარისთვის მიწოდებას და განათავსებს მას თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ჰოლდინგის გარემოს დაცვის პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელების მონიტორინგს უზრუნველყოფს სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“ გარემოს დაცვის სამსახური.

მოცემული პოლიტიკის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხდება მმართველობითი დოკუმენტების სისტემით დადგენილი წესის შესაბამისად.